№ 718 სამშაბათი, 5 იანვარი. 1896—1899 სამშაბათი, 5 იანვარი №

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., თ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე[illegible] მიმართავენ რედაქციას დილის [illegible]—8 საათამდე და საღამოს 6—7 [illegible] „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
[illegible]-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
[illegible]-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალი ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა

## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად **6** მან., ნახევარის წლით **4** მან., ერთის თვით **60** კაპ.


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 იანვარს

### ბენეფისი

### კ. დ. ყიფიანისა

[ქა]რთულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან, ბ-ნ ალექსეევ მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

# მეფე ლირი

[ტრა]გედ. 5 მოქმედ. თხზ. შექსპირისა, თარგმ. თავ. ივ. მაჩაბლისა და თავ. ილ. ჭავჭავაძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი.**

[ე]ქიმი მედიცინისა და ქირურგი

### ბენკლევსკი

[ავა]დმყოფებს ღებულობს დილის 11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ოლდოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

ДОКТОРЪ МЕДИЦИНЫ И ХИРУРГЪ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

[Г]рибоѣдовская № 30, д. быв. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

### [ვ.] ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

[ს]ამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

[ა]ვადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

[1]20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топуріа* въ Кутаисѣ.

გოლოვინის პროსპექტზე ქაშვეთის ეკკლესიის მამულში იძლევა ქირით მოხერხებული

### სარდაფი

ღვინისა თუ სხვა რამ საქონლის საწყობად. (12—2).

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

### „ბერანჟე"

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

**ფასი 40 კაპ.**

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა. „ცნობ. ფურც." ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—2)


## ახალი ამბავი

—

*** **ვ. ნ. ჩერქეზიშვილის დამტკიცება თანამდებობაში.** 31 დეკემბერს, ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ საბჭოს მიერ არჩეული წევრი ქალაქის გამგეობისა თავ. ვასილ ნიკოლოოზის ძე ჩერქეზიშვილი დამტკიცებულ იქმნა ამ თანამდებობაში. ახალმა წევრმა ქალაქის გამგეობისამ ფიცი მიიღო გუშინ, 2 იანვარს და იმავე დღიდგან შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

*** **ქ. პ. იანოვსკის ავადმყოფობა.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტ. ს. კ. პ. იანოვსკი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა. 1-ლ იანვარს ავადმყოფი ინახულა კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა.

*** **ახალი კერძო სამკურნალო.** ამ რამდენისამე ხნის წინად მკურნალმა მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დაარსოს ტფილისში კერძო სამკურნალო. როგორც პეტერბურგიდგან გვაცნობებენ, მთავრობას ეს თხოვნა შეუწყნარებია და სამკურნალოს წესდებაც დაუმტკიცებია.

*** **წესიერების დაცვა ორდანეზე.** ტფილისის ქალაქის მეშჩანთა და ხელოსანთა გამგეობამ გაუგზავნეს ქალაქის მოურავს იმ 200 მოქალაქეთა სიები, რომლებიც მეშჩანთა და ხელოსანთა წოდებამ აირჩია პოლიციის დასახმარებლად, რათა დაცულ იქნეს წესიერება 6 იანვარს მართლ-მადიდებელთა და სომეხთა იორდანებზე. არჩეულ მოქალაქეთ გადასცემენ პოლიცმეისტერს. ქალაქის გამგეობა დაურიგებს მათ მკერდზე გასაკეთებლად განსაკუთრებულ ნიშნებს.

*** **ავადმყოფობა ტფილისში.** ამ ბოლო დროს ტფილისში ძალიან გახშირდა ინფლუენციით ავადმყოფობა, მის გაძლიერებას დიდად უწყობს ხელს საშინელი ყინვა—სიცივე, რომელიც ამ ჟამად მძვინვარებს ქალაქში.

სხვა გადამდებ სენთ მცირეოდენი შემცირება ეტყობა. 15—22 დეკემბრამდე ავად გამხდარა: ყვავილით—13, რომელთაგან მომკვდარა—7, ყელჭირვებით 4 და სახადით 2.

*** **ადგილების გაცემა ქობულეთში.** ბათომის ოლქის და ქობულეთში ადგილების გაცემის საქმე ამ ჟამად უკვე გადაუწყვეტიათ და კავკასიის უმაღლესი მთავრობისათვის ადაუციათ მოსაწონებლად.

*** **სამხედრო საკრებულოს ახალი სადგომი.** ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულო ქალაქის სახლიდან გადადის ტფილისის პოლიცმეისტერის ძველ სადგომში რომელსაც შესავალი განოვის ქუჩიდან აქვს. ხოლო სამხედრო საკრებულოს ძველ სადგომში გადადის ქალაქის გამგეობის კანცელარია.

*** **ქალის მოტაცების გახშირება გურიაში.** გურიაში ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ქალის მოტაცება. აი მაგალითები: ს. ნაგომარზედ ბ. დ—ძეს სამჯერ მოხტაცეს ქალი, მაგრამ ბოლოს საცოდავმა მამამ როგორც იყო, ისევ დაიხსნა თავის ერთ-ერთი ქალი. ქ. ოზურგეთიდან ვიღაც ჯახუტაიშვილმა მოიტაცა აზ. მ. მახარაძის ქალი. 21 ქრის[ტ]ეშობისთვეს ს. აკეთში თვით აკეთის საზოგადოების მცხოვრებმა ს. ტოროტაძემ მოიტაცა ვ—ა თავდგირიძის ქალი. ნათესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ერ შეწუხებულნი არიან; ...მხარეში ეძებენ ქალს, ...ჯერ-ჯერობით არ იქმნა ნა... ...ხოთ შემდეგში რა იქნება.

*** **130 წლის მოხუცის გარდაცვალება.** ს. ქრისტესში (რაჭის მაზ.) გარდაიცვალა 130 წლის მოხუცი კიკოლა (ნიკოლოზ) ხომასურიძე. ეს სამი-ოთხი წელიწადია კიკოლას აღარ შეეძლო შორს სიარული მუხლების დასუსტების გამო, თორემ მანამდე კაცი ვერ მოასწრობდა ეკკლესიაზე, რომელიც მისი სახლიდან ორ-ვერსზეა მოშორებული.

*** **აზ. ილია ყანჩაველის მოკვლა.** გაზ. „ახ. მიმ.“ ქ. გორიდგან შემდეგ მკვლელობას იუწყებიან: 1 იანვარს, სოფ. ახრისში შეიყარნენ რამდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილები და დაიწყეს მეზობლების მილოც-მოლოცი; სხვათა შორის ილია ყანჩაველსაც მიულოცეს; შემდეგ ილიაც მათ კამპანიას შეუერთდა და განაგრძეს მილოცვა. როდესაც იოსებ ყანჩაველთან მივიდნენ, ილია ყანჩაველმა უარი განაცხადა სახლში შესვლისა, რადგანაც ერთმანეთში ნამდურაობა ჰქონდათ რაღაცა შინაურს საოჯახო საქმეზედ. იოსებ ყანჩაველი გამოვიდა გარეთ და დაუწყო სახლისაკენ წევა,—ილიამ ეს მეტათ ითაკილა და მაღალის ხმით ერთმანეთს ხუბი დაუწყეს. ამ ჩხუბში იოსებმა რაღაც სამწოვი სიტყვა გაიგონა ილიასაგან: იძრო ხანჯალი და იქვე მოჰკლა. მოკლული ილია ყანჩაველი იქაურს მცხოვრებთ სძაგდათ და ერთხანათ განჩინებაც დაუდგინეს და გადასახლებას უპირებდნენ. მხოლოდ მკვლელი იოსებ ყანჩაველი სოფლის მასწავლებლად ნამყოფია და მეტათ პატიოსანი ახალგაზდაც არის.

*** **ახალი დანიშნულება.** პირველი ნაწილს მომრიგებელ მოსამართლე ბ. მღებროვი დანიშნულ იქმნა ქ. ტფილისის ნოტარიუსათ. კანტორა მოთავსებულია ერევნის მოედანზე, გურგენოვის სახლში, ხოლო ბ. მღებროვის ადგილას ერთ-ერთ ქ. ტფილისის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს ასახელებენ.

*** **სამსახურის თავის დანებება.** როგორც ხმა დადის ტფილისის ქალაქის ტეხნიკი ი. ი. კაჩაზნუნი სამსახურს თავს ანებებსო.

*** **რკინის გზის წესდებულების განხილვა.** ამ დღეებში ტფილისში ელიან რკინის გზის ძველის და ახლის წესდებულების განხილვას, რომელმაც რკინის გზის მუშების უკმაყოფილება გამოიწვია.

*** რედაქციამ მიიღო ახალი 1899 წლის ქართული „კედლის კალენდარი“ გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა. კალენდარი სუფთათ არის დასტამბული და ყველა ფურცელზედ მშვენიერი პატარა რჩეული ამბები და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლექსებით; კალენდარი ღირს ექვსი შაური ფასი შედარებით იაფია.

*** **ახალი სამკურნალოს დაარსება.** როგორც ხმა დადის ტფილისში არსდება ახალი კერძო სამკურნალო ადგილობრივის ექიმების მეთაურებით სამკურნალოს გახსნის ნება-რთვა უმაღლეს მთავრობას უკვე დაუმტკიცებია.

*** **ს. ჩხენიში** (იმერეთი). **მკვლელობა და დაჭრა.** 29 დეკემბერს, ღამით 7—8 საათზედ ყაჩაღები, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სოფლის გაიძვერები, თავს დაეცნენ ფულის წასართმევათ ეფრემ ხარებავას და მის ძმას. პირველი მოჰკლეს და მეორე დასჭრეს. საქმის გარემოება ასეთია: ხსენებულ დროზედ ორი ბოროტ-გამზრახველნი შეიჭრნენ ხარებავას სახლში და ერთმა მათგანმა დაუმიზნა მასპინძელს რევოლვერი ჩახმახი დაუკრა, მაგრამ დაჟანგების გამო არ გავარდნილიყო, მერე რევოლვერი ხელიდან გააგდო და ამოიღო ხანჯალი, რომლითაც ეფრემ ხარებავას სამი ჭრილობა მისცა: მუცელს ქვევით, მუცელში და გულში. დასჭრეს აგრეთვე მისი ძმა თავში და ხელში. სასიკვდილოთ დაჭრილმა ეფ. ხარებავამ მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, მოებღაუჭა სვეტს, რომ არ წავიქცეო, დაასახელა ყვირილით მკვლელები: სამსონ რაზმაძე და გოგია ხარებავა, რომლებიც სახლიდან გაქცეულან და ჯერ ვერ შეუპყრიათ. რაზმაძის სახლის გაჩხრეკის დროს ნახეს ბლუზა სახელოზედ ცოტა სისხლ მოცხებული, რომელიც უკვე წარადგინეს სოფლის სასამართლოში. ადგილობრივი პოლიციის გამოძიებით მოკლულის სახლში ყაჩაღებიდგან დარჩენილი რევოლვერი აღმოჩნდა ყმაწვილი კაცის ბიკტორ ანდღულაძისა, რომელიც შეიპყრეს და, როგორც ამბობს, მან რევოლვერი კარგა ხანია, რაც მიაბარა მის ნათესავ ქალს, მგონი ძიძას, რომელმაც რატომ გადასცა ბოროტ-მოქმედებს ის რევოლვერი არ იცის. როგორც სჩანს, მკვლელებს უთქვამს ქალისთვის, რომ ანდღულაძემ გვათხოვა ჩვენ მისი რევოლვერი და მოგვეციო, რაიც ქალს სარწმუნოდ მიუღია და გაუტანებია რევოლვერი.

აქ მოვიდა სამტრედიის ბოქაული ღ გამოძიება სწარმოებს. გოგია ხარებავას მამამ სთქვა: „ჩემი შვილი მუშაობაში ცუღლუტია, ატარებდა დროს ბანქოს თამაშში, შინ დადიოდა ღამე გვიან, სამსახურში წავალო ამბობს და არ მიდის. გუშინ (29 დეკემბერს) საღამოს სადღაც წავიდა. ახალი დაწოლილი ვიყავი და მომესმა მეზობლისას, ხარებავასას ხმაურობა, რომლის ცოტათი შეწყნარების შემდეგ ჩემმა შვილი, გოგია შემოიჭრა უცბად ოთახში და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გაიქცა. მაშინვე ვიგრძენი უბედურება, მაგრამ რა მექნა. გარდა უმუშაობისა და ბანქოს თამაშობისა, ჩემი შვილის არა ვიცი რა. ახლა კი მაკვირვებს ამ საქმის გარემოება“. ვნახოთ, რას დაგვანახვებს აწინდელი გამოძიება.

№

*** **ს. აკეთი.** (გურია) **ბიბლიოთეკის ანგარიში.** 1898 წ. დეკემბრის 15—18 რიცხვებში გურიის სახალხო (აკეთში) ბიბლიოთეკის წიგნთ-საცავის რევიზიის წევრებმა განვიხილეთ ხსენებული ბიბლიოთეკის წლიური ანგარიში, რომლის შემდეგ აღმოჩნდა შემდეგი: I ამა 1898 წ. ბიბლიოთეკას წლიური ხელის მომწერნი მწევრნი ჰყოლებია 49, ამათში საწევრო ფული არ გადაუხდიათ 26.

II როგორც აღმოჩნდა შემოსავალ-გავასლის დავთრიდან ბიბლიოთეკას ამ 99 წ 15 დეკემბრამდე შემოსავალი ჰქონებია 85 მან. და 70 კ. გასავალი (ხარჯი)-კი 69 მ. და 31 კ. ამ 69 მ. და 31 კ. ბიბლიოთეკის შენობის გატარაზე და რემონტზე დახარჯულა 35 მ. და 40 კ. (ბიბლიოთეკის შენობა სკოლის მახლობლად იყო და ეხლა სასოფლო სასამართლოს მახლობლად არის). ხოლო დანარჩენი 34 მ, 91 კ. ბიბლიოთეკარის ჯამაგირი, ჟურნალ-გაზეთების ფასი და სხვა წვრიმალნი ხარჯებია (15 მ. ბიბლიოთეკარის ჯამაგირია).

III ბიბლიოთეკას დღეს აქვს ფულად 16 მ. და 49 კ. და აგრეთვე 26 წევრის შემოსატანი ფული.... IV ბიბლიოთეკას ამა 98 წ. მოსდიოდა შემდეგი ჟურნალ გაზეთობა: „ივერია“ „კვალი“. „ცნობის-ფურცელი“, „კავკასი“ და „ნოვოე-ობოზრენიე“. ამათში ბიბლიოთეკას ჰქონებია გამოწერილი მარტო „ივერია“ და ისიც მაისიდან, ხოლო დანარჩენი-კი მისდიოდა უფასოდ გარდა გამოგზავნის ხარჯისა, რომელიც შეადგენდა 2 მ.

V კატალოგის გადასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 216 ცალი წიგნი ზოგი ჩაუწერელია და ზოგი წაწერილი, მაგრამ არეულად. მაგალითად, წიგნზე აწერია 454 ნომერი, ხოლო კატალოგში-კი 254, ასე რომ თუმცა წიგნები ბევრია დაკარგული, მაგრამ ნამდვილი მათი რაოდენობა შეუძლებელი გასაგებია. ამისთვის ძლიერ საჭიროა ახალი კატალოგის შედგენა და წიგნების რიგზე დაწყობა. *)

VI როგორც აღმოჩნდა მკითხველთა სიიდან ამ წელში ნახევარ წლის განმავლობაში (აპრილიდან პირველს დეკემბრამდე) 17 მკითხველს უსარგებლია 178 წიგნით. ხოლო წარსული წლის ანგარიშიდან სჩანს, რო ექვსი თვის განმავლობაში 418 მკითხველს უსარგებლია 1411 წიგნით. (აი პროგრესი!?) ბიბლიოთეკა დაარსებული 1893 წ., რის შემდეგ სხვა-და-სხვა პირებს შემოუწირავს 22 ცალი წიგნი. (წარსული წლების შემოსავლიდან არაფერი დარჩენილა გამგეობაზე). ბიბლიოთეკა წიგნებით საკმარისად მდიდარია, მაგრამ ასე არეულად თუ იქნა შემდეგისათვის იმისი მართვა გამგეობა, ის დიდხანს ვერ იცოცხლებს და მალე გამოეთხოვება აკეთის არემარეს. იმედია ბ. გამგე და ძველი მოღვაწე სულის ჩამდგმელნი ბიბლიოთეკისა ენერგიულად შეუდგებიან საქმეს და ჯეროვნად დააყენებენ ბიბლიოთეკის მართვა-გამგეობას, რითაც ბიბლიოთეკას მიანიჭებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

რევიზიის წევრნი:

კონსტანტინე უგულავა, კონსტანტინე დათუნაშვილი და ლარვენტი დუმბაძე.

*** **დ. ხონი.** **დაბის დაწინაურება.** დ. ხონი მდებარეობს ქ. ქუთაისიდან 26 ვერსის მანძილზე. როგორც ისტორიულს ნაწერებიდგან სჩანს, დ. ხონი დაარსებიდან ქრისტეს დაბადებამდე პირველად სოფელი ყოფილა, რომელსაც სახელად ხონიგურუსი წოდებია ძველად ამ სოფელს კარგი მნიშვნელობა ჰქონია, ქართველთა და უცხოელ ვაჭართა მოგზაურთათვის. მაშინ არც ფოთი ყოფილა და არც სხვა ნავთ-სადგურის ქალაქები.

მაშინ შავის ზღვიდან „ცხენის წყლით“ ვაჭარნი აქ შედიოდნენ. აქ მოჰქონდათ საქონელი და ასაღებდნენ. მერე ამ გზითვე მიემგზავრებოდნენ თავიანთ ქვეყნებში და გაჰქონდათ ის საქონელი, რომელსაც ყიდულობდნენ ქრისტეს დაბადების შემდეგ გუნაბმა ლაზებზე გალაშქრება დაიწყეს ერთ გალაშქრების დროს ლაზებმა გაიმარჯვეს და ნიშნათ ამ გამარჯვებისა მათ დ. ხონში ეკკლესია გააკეთეს. ამის შემდეგ ეს ადგილი შესანიშნავი გახდა და საშუალო საუკუნოებში კალაქად გარდაკეთდა ქალაქად გარდაკეთების შემ-

---

*) კატალოგის შედგენაში და წიგნების რიგზე დაწყობაში საჭიროა მონაწილეობა მიიღონ მასწავლებლებმა.

დევ „ხონიგურ-უსი“ ბევრჯერ ააოხრეს და სხვა მტრებმა, რომლებთან ბრძოლამ ქ. ხონიგურუსი, როგორც მატერიალურის მხრით, აგრეთვე სწავლითაც და მცხოვრებთა რიცხვით შეავიწროვა.

შემდეგ მტრებისაგან გამუდმებით თავ-დასხმის გამო ქ. ხონიგურუსი დაბად გარდაკეთებულა, რომელმაც ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ იწყო ცოტ-ცოტათი გაუმჯობესობა სხვა და სხვა პირთა შემწეობით.

მე მსურს აქ გავაცნო მკითხველებს ის პირნი, რომლებსაც ხო[illegible]დღემდე დაუღალავად უშრო[illegible]თ და, რომლების მეცადინეობ[illegible] დღეს დ. ხონი არც სწავლის მხრით და არც მატერიალურად არ ჩამოუვარდება საქართველოს არც ერთ დაბას. ერთი ასეთი პირთაგანი გახლავთ ბ. ივანე სიმონის ძე შარაშიძე. დ. ხონში მცხოვრებლებს დიდხანს ვერ მოუხერხებიათ სასწავლებლის დაარსება. ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ ბ. ივანე შარაშიძემ დაარსა სამინისტრო ორ-კლასიანი სკოლა, რადგანაც კურს დამთავრებულთ შეეძლოთ სწავლის გასაგრძელებლად გადასულიყვნენ საოსტატო სემინარიაში მაგრამ, რადგან ხონში მცხოვრებლებს ნივთიერი შეძლება ყველას ნებას არ აძლევდა ხონში კურს დამთავრებული შვილები წაეყვანათ სხვა და სხვა ქალაქებში, ამის გამო ბევრი ყმაწვილი რჩებოდა თითქმის შუა გზაზე. ეს ნაკლულოვანება შეავსო იმავე შარაშიძემ. მისი მეცადინეობით, 1881 წ. დაარსებული იქმნა საოსტატო სემინარია, რომელშიაც ყოველ წელს, სულ უკანასკნელი, 4—5 ხონელი ყმაწვილი ათავებს სწავლას. აგრეთვე ი. შარაშიძის მონაწილეობით იქმნა დ. ხონში დაარსებული ბულვარი, რომელიც ზაფხულობით მცხოვრებთ დიდ სამსახურს უწევს. იმავე პატივცემულ პირის მეცადინეობით, ამ ცოტა ხანში გადაკეთებულ იქმნა საქალებო პროგიმნაზიად ხონის საქალებო ორ-კლასიანი სასწავლებელი. დასასრულ დიდი ღვაწლი მიუძღვის ხონის წინ ბ. ი. შარაშიძეს ხონში წყლის არხების გამოყვანის საქმეში. გარდა ბ. შარაშიძისა, დ. ხონის გაუმჯობესებაზე ბევრი უმუშავნიათ და მუშაობენ დღესაც შემდეგი პატივცემული პირნი: ნ. ნიკოლაძე, ნ. წერეთელი და ილია ხონელი. ყველა ეს პირნი, შარაშიძესთან ერთად, უღრმესი მადლობის ღირსნი არიან ხონის მცხოვრებთაგან.

გ. წივწივაძე

*** **ახალგორი.** ამინდები. დეკემბერმა ჩაიარა. მშვენიერი ამინდებით ჯერ ხეირიანად თოვლიც არ გვინახავს. ხალხი ამბობს, დიდი ხანია არ მოვსწრებივართ ამისთანა თბილ ზამთარსაო. ვნახოთ იანვარი რას მოიტანსო.

— **საქონლის ჭირი.** ახალ-გორის მეზობლად მდებარე სოფელს იკოთში ეს ორიკვირა იქნება, საქონლის ჰირი გაჩნდა, რომელმაც არა ერთი ხარი და კამეჩი იმსხვერპლა. ჯერ ამის წინააღმდეგ არავითარი ღონის ძიება არ-არის მიღებული ნეტა რას უცდიან.

— **კეთილი მოძღვარი.** ახლად გასული წელიწადიც მწარე იყო წინანდელ წარსულ წლებივით ქსნის ხეობის გლეხებისათვის. თითქმის ერთად-ერთი კეთილ სახსოვრად დაგვრჩება ახალგორის მართმადიდებ. ეკლ. მღვდლის მამა პანტელეიმონ გედევანიშვილის შრომა. ამ პატივცემულმა მღვდელმა თავს იდო ზევით ხსენებული ეკლესიის გალავნის გადიდება და კიდეც თითქმის სავსებით ამ მიზანს მიახწია. განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ ამ კეთილმა მწყემსმა თითქმის სრულიად გაანთავისუფლა თავისი სამწყსო გალავნისათვის საჭირო არა მცირედი ხარჯისაგან. მამა პანტელეიმონმა თავის მნათის დახმარებით კერძო პირებს სთხოვა შემწეობა. ცუდათ არ ჩაუარა ცდამ და დახმარება აღმოუჩინეს. მოძღვარი, როგორც დღიური მუშა, გვერდს ედგა კალატოზთ და მუშაობდა, მხნეობდა და ამხნევებდა მათ. სამწუხაროდ, ასეთი მეცადინეობის მიუხედავათ, გალავანი, რომელსაც არა მცირე სიგრძე-სიგანე აქვს მაინც ვერ დაამთავრეს, ცოტაოდენი კიდევ დარჩა გასაკეთებელი. მაგრამ თუ ჩვენი მოძღვარი დღევანდელი გვეყოლა, საქმეს მალე მოეღება დასასრული. ამ საქმეს ბ. მნათემ შესწირა ათი თუმანი, ბაქარ მზარეულიშვილმაც — კიდევ ხუთი თუმანი და სხვა — ამ პირებთან ერთად გულითადი მადლობის ღირსია თავადი შალვა რევაზის ძე ერისთავი, რომელმაც ფულით შემწების გარდა, დაუთმო გალავნისათვის ძველი ნასახლარი ეკლესის გვერდზე.

მ. ახალგორელი

## სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯან-მრთელობა *)

ზ. კმა-ყოფისათვის. ნუ დაივიწყებ, ჰე კაცო, ვითარმედ მდგომარეობა შენი ქვეყანასა ზედა განწესებულ არს საუკუნოითა სიბრძნითა, რომელმანცა იცის გული შენი, ხედავს ამაოებასა სურვილისა შენისასა და მოწყალებით ხშირად უკუნ აქცევს ყურსა თხოვისაგან შენისა. გარნა კაცთ-მოყვარებამან მისმან მოიყვანა წესიერებისა შინა ნივთნი სარწმუნოდ მიღებისათვის მათ ყოველთაგან, რომელთაცა აქვთ სული პატიოსანი და მართალი.

განმომცდელსა შენსა განუსვენებლობასა და ბოროტსა შემთხვევლობასა, რომელთა ზედა სჩივი შენ, არა აქვსთ წყარო სხვა, თვინიერ უგუნურებასა შენისა. ამპარტავნებისა და უადვიროსა თავდაუჭერობელობისა შენისა.

ნუ დრტვინავ მას ზედა, რაიცა ინება და ბრძანა ღმერთმან, არამედ განმართე გული შენი, ნუ იტყვი ნურაოდეს, — ვიყო მდიდარ და ძლიერ ანუ უკე თუმცა მაქვნდეს მოსვენება; მაშინ ვიქმნებოდი მეცა უკვე ბედნიერ! იცია, რამეთუ თვითეულსა მათგანსა აქვს თვისი საჭიროება მფლობელობისათვის მათისა.

გლახაკნი ვერა ხედვენ არა-კმა ყოფასა და შფოთსა მდიდართასა; წყენასა მათსა და მწუხარებასა. ძლიერსა ვერა ჰგრძნობენ; მათ არა უწყიან, თუ რაოდენი მოწყენება არს განსვენებასა და უქმობასა შინა, და ამისათვის ოხრავენ ბედთა თვისთა და უწვა შენ მწუხარება გულისა მისისა.

კმაყოფა მცირითა არს სრულება სიბრძნისა განმამრავლებელი სიმდიდრისა მთაღრმავებისა მწუხარებასა შინა, გარნა კმაყოფილი გული არს საუნჯე დაფარული, რომელსაცა მწუხარება ვერაოდეს მიეახლების.

უკეთუ არა დაბრმავდები მაცნებელითა ბედნიერებითა და გეცოდინება დაზოგვა, ზომიერება, კაცთ-მოყვარება და მდაბალ ბრძნობა, მაშინ არა გყოფს შენ უბედურად უმეტესი სიმდიდრე გარნა იცის: ვითარმედ ბედნიერობა პატიოსანი და უცვალებელი არა განგყოფს შენ მოკვდავთაგან!

კეთილი მოქმედება არს გზა ღვთისა კაცისადმი მიმყვანი; ბედნიერობა არს საზღვარი მისი, რომლისადმი ვერ შემძლებელ არს მიწთომად უწინარეს სიცოცხლისა დასრულებისა და მიღებად მისთვის გვირგვინისა საუკუნოსა შინა სუფევასა.

(შემდეგი იქნება)

(* იხ. «ცნ. ფურც.» № 716.

## სამკურნალო ცნობა

სიგიჟის გადამდებლობა. ამ უკანასკნელს დროს მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სიგიჟე გადამდები სენია. ამ აზრის დასასაბუთებლად მრავალ შემთხვევას ასაბუთებენ, როგორც ისტორიიდან, აგრეთვე თანამედროვე ცხოვრებიდან. ექიმს ირელანდს მოჰყავს შემდეგი მაგალითები ისტორიიდან: ერთმა ინგლისელმა სამოცი წლის კაცმა განაცხადა მე გამოგზავნილი ვარ ღვთისაგან იმ აზრით, რომ ვაცნობო ხალხს ქრისტეს მოსვლა. მან მრავალი მომხრე იშოვა შემდეგში ის მოკლეს, მისი მოწაფენი დარწმუნებულნი დარჩნენ, რომ მოკლული მასწავლებელი აღდგება მკვდრეთით და ხალხს მოევლინებაო. ერთმა კიდევ, თავისი ცოლის თანხმობით თავისი ერთათ-ერთი შვილი ღმერთს სამღთო მიუტანა. თუმცა ეს საქმე პირველად ქმარმა განიზრახა, მაგრამ ცოლზედ ისეთი ზედგავლენა იქონია, რომ ისიც დიდის სიამოვნებით დაეთანხმა. ერთი გერმანელი შესცდა ჰკუაზედ და წარმოიდგინა, რომ იმის ბაღს ეშმაკი დაეპატრონა. დადგა ერთ ადგილას და მთელი ერთი თვე მიწა თხარა, ეგებ ეშმაკი ვიპოვნო და ბაღიდან გავდევნოვო. ისეთნაირად იმოქმედა ავადმყოფის გერმანიელის საქციელმა მის დასა და ძმაზე, რომ ისინიც უნებურად მივიდნენ და დაიწყეს მიწის თხრა. იმდენი იმუშავეს, რომ სრულიად იმუშავეს, რომ სრულიად მოიქანცნენ და შემდეგ სამივე და-ძმას სამოთხეში ამოაყოფინეს თავი. როგორც ვხედავთ, სიგიჟე გადამდები სნეულებაა და ამის გამო, როცა ოჯახში ვინმე სულით ავად გახდება მაშინვე სავადმყოფოში უნდა გაიგზავნოს. სულით ავადმყოფობა ქალებზე უფრო ადვილად მოქმედობს, ვიდრე მამა-კაცებზე.

## გამოსადეგი ცნობა

ხარების რქების მოსპობა. შეერთებული შტატების აღმოსავლეთ მხარეს, სადაც განსაკუთრებით საქონლის მოშენებას მისდევენ, ამ უკანასკნელს ხანებში ხარების რქების მოსპობა მოიგონეს. მსხვილი საქონლის რქის მოტეხა მეტად ძნელია, რადგანაც საქონელი დიდ ტკივილსა გრძნობს და მოგლეჯის შემდეგ იარა უკეთდებათ, რომელიც დიდს ხნობამდის აღარ ურჩებათ. ამიტომ რამდენიმე კვირის ხბოს აპერაციას უკეთებენ ერთს გვარის იარაღით, ჰგლეჯენ ახლად ამომძვრალს რქას, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ურჩებათ და მას შემდეგ თავის დღეში რქა აღარ ამოსდით. რქებს იმ მოსაზრებით თურმე გლეჯენ, რომ ურქო საქონელი უფრო დინჯდება ჭკვიანდება, ბალახსა სძოვს იმდონს, რამდონსაც იმისი კუჭი მოინელებს, საჭმელი რქიანებთან შედარებით ნაკლები უნდებათ და მეტათაც სუქდებიან.

## სხვა-და-სხვა ამბავი

იმპერატორის ვილჰელმის გასართობი. გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი შობის წინა დღით გაცივებულა, ალბად იმ დროს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა თავის ხელით საჩუქრებს არიგებდა. ამის შესახებ ერთი გაზეთი გვაუწყებს შემდეგს დაწვრილებით ცნობებს: „იმპერატორი წელსაც თავისი ხელით არიგებდა საჩუქრებს. წინად, როცა მეფის სახლობა „ახალ სასახლეში“ ცხოვრობდა, იმპერატორს ჩვეულებად ჰქონდა შობის წინ გასეირნება „სანსუსის“ ბაღში და დარიგება იქ დღიურად მომუშავეთათვის და აგრეთვე იმ ღარიბთათვის, რომლებიც გზაში შეხვდებოდნენ 2-დან 10 მარკამდე თითოსათვის. რაკი ღარიბებმა ეს ჩვეულება გაიცვნეს, ყოველთვის შობის წინ ბაღს ავსებით ავსებენ ხოლმე. მაგრამ წელს მათ ამაოდ მოიყარეს აქ თავი.

რადგან იმპერატორის სახლობა ამ ჟამად პოტსდამის სასახლეში ცხოვრობს, ამის გამო მის ჩვეულებაშიაც ცვლილება მოხდა. შობის წინა დღეებში ნასადილევს იმპერატორმა დღესასწაული გაუმართა იმ პოლკის ჯარის კაცებს, რომელშიაც ის ერთ დროს მსახურებდა, როცა ჯერ ის პრინცი იყო. ამ ჯარის კაცთ ასწავლიდნენ ლუსტგარტენში სწორედ იმ დროს, როცა მათთან იმპერატორი მივიდა, რომ მათთვის სირბილი დაეწყებინებია. ათ-ათი კაცი უნდა გაქცეულიყო ჰისკრიდან „ფართო ქუჩაზე“ ხიდამდე, რომლის მახლობლად იმპერატორი იდგა. გამარჯვებულს იმპერატორი აძლევდა 5 მარკას. შემდეგ ყველას მახვილები უნდა დაეწყოთ მიწაზე. იმპერატორის დაძახებაზე: „აიღეთო“, მათ უნდა აეღოთ მახვილები, და ვინც სხვაზე უფრო მალე აიღებდა, იმას იმპერატორი ფულს აძლევდა.

მაგრამ ყველაზე უფრო დიდ სიამოვნებას იმპერატორის ჯარის-კაცებში ფულის გადაბნევა ჰგვრიდა, რომელიც ფულის აღების მსურველ-ჯარის-კაცთ ერთმანეთზე აჯახებდა, და ახვავებდა, ეს იმპერატორს ისე მოეწონა. რომ დაუძახა პოტსდამელ ბავშვებს და მათაც იგივე გაუმეორა. შობის წინა დღით დილით იმპერატორმა გაისეირნა რუსების ახალ-შენისაკენ და აქაც დაარიგა საჩუქრები. ამ გვარადვე მიიღეს ფულები იმ ჯარის-კაცებმა, რომლებიც სასახლეს უდარაჯებდნენ, ხოლო მორიგე ოფიცერი-კი იმპერატორმა თავის სუფრაზე მიიწვია. ოთხმა პოლიციელმა, რომლებიც სამოქალაქო ტანთ-საცმლით მორიგეობენ სასახლეში, მიიღეს 15 მარკა თითომ, ხოლო ვახმისტრმაკი უფრო ბევრი.

### ყურმოკრული საუბარი

ერთი ქალაქში გაზრდილი ქალიშვილი სოფელში სააგარაკოდ წავიდა და იქ მეოჯახობა განიზრახა, მას აჩუქეს ბატები თავისი ათი ჭუჭულით. სამი დღის შემდეგ ჭუჭულები სულ დაიხოცნენ.

— საჭმელს აჭმევდი ჭუჭულებს?— ჰკითხეს მეზობლებმა ქალაქელ ქალს.

— არა, მე მეგონა, რომ დედა ბატი ძუძუს აწოვებდა თავის ჭუჭულებს.

—

ჰკვიანი მსახური

— შენი ბატონი შინ არის?

— არ გახლავთ.

— ჩქარა მოვა?

— არა მგონია.

— მაინც რა დროს არის ხოლმე შინ.

— აი ეგ კი დამავიწყდა (გაადებს იქვე გვერდზედ კაბინეტის კარებს და შესძახებს).

— ბატონო, რა ვუთხრა, რა დროს ხარ ხოლმე შინა?

—

— თქვენ მემკვიდრეობა არა გწამთ?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე მემკვიდრეობას არავისგან ველი.

—

— როგორ შეიძლება, შლიაპაში ოცდა ხუთი მანეთი მიგეცა!

— ეგ მართალია, მაგრამ მშვენიერი რამ კია.

— რა აქვს მშვენიერი, ჯერ ერთი რომ სრულებით არ გიხდება და მეორე, რომ ჩემს ჯიბეს მაგდონი არ შეუძლიან.


## განცხადებანი

# ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., 1/2 გირვანქა 2 მან. 50 კაპ.

ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., 1/2 გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფრემის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—27)



გამოვიდა მეორე წიგნი

## რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის

**ივანე როსტომაშვილის რედაქციით.**

ფასი მთელის გამოცემისა (12 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდე, წვრილის ასოებით დაბეჭდილი)—მარტო **12 მან.**, რომელიც ხელის-მომწერთ შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ: პირველად ორი მანეთი (გაეგზავნებათ ორი წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ახალის წიგნების მიღების შემდეგ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზე ასეთი ლექსიკონები ღირს ხ უ თ ი და ა თ ი თ უ მ ნ ე ბ ი და ვერც ჩვენს მკითხველს აკმაყოფილებენ სავსებით. რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვეყნის შესახებ,—ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსიკონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწდომი. მესამე წიგნი ასო **ვინ**-ზე გამოვა მარტის გასულს. თფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან, წერა-კითხვის გამავრც, საზოგადოების და ბ. ხიდდეკელის წიგნების მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову.

(8—6)



საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

**ყოველთვიური**

გამოვა 1899 წელსაც თვე ი ერთხელ იმავე პროგრამით.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს **4** მან., ტფილის გარეშე გაგზავნით **5** მან., ცალკე ნომრის ფასი ტფილისში **50** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго жуннала **«Джеджили»**.

(10—4)



**ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1899 г.**

ЖУРНАЛЪ ПОЛИТИЧЕСКІЙ, ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И САТИРИЧЕСКІ

СЪ КАРРИКАТУРАМИ

# РАЗВЛЕЧЕНІЕ.

**РАЗВЛЕЧЕНІЕ** вступаетъ въ **41** годъ своего существованія.

РАЗВЛЕЧЕНІЕ—журналъ вполнѣ **семейнаго характера**, не потворствуетъ грубымъ вкусамъ толпы. а старается быть всегда вполнѣ корректнымъ и приличнымъ

**РАЗВЛЕЧЕНІЕ въ 1899 г., не возвышая подписной платы 6 руб., даетъ своимъ подписчикамъ:**

1) Пятьдесятъ номеровъ журнала, въ которыхъ будетъ помѣщено болѣе 800 прекрасно исполненныхъ рисунковъ перомъ, карандашемъ и въ краскахъ извѣстныхъ каррикатуристовъ художниковъ. Литературный отдѣлъ будетъ вмѣщать въ себѣ массу художественныхъ разсказовъ, сценъ, очерковъ, стихотвореній и всякаго рода сатирическихъ и юмористическихъ мелочей, дающихъ полную картину нравовъ современнаго общества **столицъ и провинціи (провинціольныя злобы дня** и курьезы будутъ помѣщаться въ текстѣ и рисункахъ).

2) Въ продолженіе всего года будутъ помѣщаться **юмористическія иллюстраціи въ краскахъ** къ произведеніямъ извѣстныхъ русскихъ и иностранныхъ поэтовъ и писателей. (Иллюстраціи эти полны захватывающаго интереса по своему художественному исполненію).

**Годовая цѣна журнала ШЕСТЬ рублей.**

Допускается разсрочка: при подпискѣ **ТРИ** руб., въ мартѣ **одинъ** р., въ апрѣлѣ **одинъ** р. и маѣ **одинъ** р. (Пробный № высылается за три семикопѣчныя марки). Адресъ: **Москва, журналу РАЗВЛЕЧЕНІЕ.**

Всѣ годовые подписчики получатъ въ видѣ приложенія сборникъ юмористическихъ разсказовъ популярнаго юмориста А. Педро.

(6—1).